პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 30 იანვარი, 1946 წ. № 22 (7495). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ამთავითვე სასახელოდ შევასრულოთ საწარმოო დავალებანი—მოწინავე (1-ლი გვერდი).
თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქში—მოლოტოვის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირი (1-ლი გვერდი).
ბრძანებულებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
საბჭოთა ხელოვნების აყვავება—საუბარი სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე მ. ბ. ხრაპჩენკოსთან (მე-2 გვერდი).
ი. გ. ბოლშაკოვი—საბჭოთა კინოს სტალინური ლაურეატები (მე-2 გვერდი).
კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატები (მე-3 გვერდი).
ამომრჩეველთა შეხვედრები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებთან (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები—დეპეშები (1-ლი და მე-4 გვერდი).

ამთავითვე სასახელოდ შევასრულოთ საწარმოო დავალებანი

გამარჯვებული საბჭოთა ხალხი შრომის ფრონტზე ახალ-ახალი წარმატებებით აღნიშნავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების დღეებს. მშრომელები ისწრაფვიან მეოთხე სტალინური ხუთწლედის დასაწყისიდანვე მთლიანად, გადაჭარბებით შეასრულონ საწარმოო დავალებები, ღირსეულად შეხვდნენ არჩევნების დღეს—10 თებერვალს.

ფაბრიკა-ქარხნებში, ტრანსპორტზე დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობაა. მუშათა კოლექტივები სტახანოვურ ვახტზე დგებიან და შრომის მაღალ ნაყოფიერებას აღწევენ. მოწინავენი ეხმარებიან თავიანთ ამხანაგებს და ამით ხელს უწყობენ საერთო წარმატებას.

ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის ის უბანი, სადაც მუშაობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი პირველი კლასის მნგრეველი ამხ. შ. ფურცხვანიძე, იანვრის დასაწყისიდანვე სტახანოვურ ვახტზე დგას და ქვანახშირის ამოღების სადღეღამისო დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს. მარტო იანვრის პირველ კვირაში ამ უბნის მეშახტეებმა სამშობლოს გეგმის გადამეტებით 200 ტონამდე ქვანახშირი მისცეს. თვით შ. ფურცხვანიძე ყოველდღიურად 2-3 ნორმას ასრულებს და ამავე დროს ეხმარება ახალგაზრდა მეშახტეებს კვალიფიკაციის ამაღლებაში.

სტახანოვურ ვახტზე დგანან მოწინავე ტყვარჩელელი მეშახტეებიც. კვლავ საუკეთესოდ მუშაობენ ა. ქირაქაძისა და კ. გოთუას უბნების კოლექტივები, რომლებიც არჩევნებისათვის მზადებას ქვანახშირის ამოღების გაძლიერებით აღნიშნავენ.

ასეთივე აღმავლობაა ჭიათურაში მაღაროელთა შორის, კავთისხევსა, ნორიოსა და შირაქში ნავთსაძიებო უბნის მუშებს შორის.

თბილისის ლითონდამმუშავებელი საწარმოების სტახანოველთა საქალაქო შეჯიბრება პროფესიების მიხედვით მასების შრომითი აღმავლობის მკაფიო გამოხატულებაა. ეს შეჯიბრება, როგორც ცნობილია, დაიწყეს თბილისის მოწინავე მჭედლებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების და საბჭოთა საქართველოს XXV წლისთავის აღსანიშნავად. მჭედლების ინიციატივა მოიწონეს დანარჩენი წამყვანი პროფესიების მუშებმაც, და ამჟამად პროფესიათა მიხედვით სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული არიან ჩვენი დედაქალაქის საწარმოთა მჭედლებს გარდა, აგრეთვე ხარატები, მექვაბეები, ლითონმსხმელები, მრანდავები, ზეინკლები.

სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობაში გამოჩნდნენ ახალი ადამიანები, მაღალნაყოფიერი შრომის ახალი ოსტატები, რომელთა გამოცდილებაც მუშათა ფართო მასების კუთვნილება ხდება. თბილისელმა მჭედლებმა ვ. კორძაძემ და კ. ილურიძემ მიმდევრები ჰპოვეს არა მარტო მეზობელ საწარმოებში, არამედ რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიც—ტყიბულში, ქუთაისში, სამტრედიაში.

თბილისელ ხარატთა მაგალითისამებრ გაჩაღდა შეჯიბრება ტყიბულელ ხარატთა შორისაც. იქ ყველას გაუსწრეს ვ. ნოსელიძემ და თ. ბურდუკოვმა. ამ უკანასკნელმა იანვრის პირველი ნახევრის გეგმა 1.537 პროცენტით შეასრულა.

ასე განუწყვეტლივ მრავლდება შრომის ფრონტზე წარჩინებულთა რიგები. ამის შედეგად მრეწველობის მთელმა რიგმა საწარმოებმა წლის დასაწყისშივე სერიოზული წარმატებები მოიპოვეს. განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები აქვთ იმ საწარმოებს, სადაც საქმეს ოპერატიულად ხელმძღვანელობენ, რაციონალურად მოაწყეს შრომა და გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება. 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში სამჭედლო საამქრო ის ადგილი იყო, რომელიც საზღვრავდა ქარხნის საერთო მიღწევას. არ ჰყოფნიდათ კვალიფიციური მჭედლები, ვერ ასწრებდნენ სარედუქტორე და სატურბინე დეტალების გამოჭედვას. მჭედლებს შორის შეჯიბრების გაჩაღების შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. ახლა ამ საამქროს მარტო ორი მჭედელი — ვ. კორძაძე და ა. არეშოვი — 8 მჭედლის საქმეს აკეთებს. ქარხანა უკვე უზრუნველყოფილია საკმარისი დეტალებით. ეს წარმატება ქარხნის მჭედლებმა იმიტომ მოიპოვეს, რომ დირექცია და პარტიული ორგანიზაცია მათ დახმარებას არ აკლებენ. ასევე შეიძლება ითქვას კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის ხარატების შესახებაც. აქ არ გამოედევნენ რეკორდებს, არამედ ყველა ხარატს შეუქმნეს უკეთესად მუშაობის პირობები, და სახარატო საამქროც ბევრად უფრო გამართულად და ნაყოფიერად მუშაობს იანვარში, ვიდრე დეკემბერში მუშაობდა. ასეთი მაგალითები ბევრია.

მაგრამ იანვარი ყველა საწარმოს, შახტს, მაღაროს როდი დაუწყია წარმატებით. ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტის კოლექტივს იანვრის პირველი ნახევრის გეგმა შესრულებული აქვს მხოლოდ 78 პროცენტით, ხოლო გელათის მაღაროს—90 პროცენტით.

რა უშლის ხელს ლენინის შახტს, რომ ვერ ასრულებს გეგმას, მაშინ როდესაც იქვე სტალინის სახელობის შახტის კოლექტივი ქვანახშირს ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით იძლევა? აშკარაა, რომ აქ საქმე დამოკიდებულია ხელმძღვანელობაზე, შრომის ორგანიზაციაზე, არსებული ტექნიკის ეფექტურად გამოყენებაზე.

გეგმების შესრულების ბედს ყოველთვის სწყვეტენ ადამიანები, კადრები. მათზე ზრუნვა, ძალების სწორი განაწილება, საწარმოს მთელი კოლექტივის მტკიცედ დარაზმვა—აი წარმატების საწინდარი.

სამეურნეო წელი ეს-ეს არის დაიწყო. საჭიროა აქედანვე მთლიანად, გადაჭარბებით შევასრულოთ საწარმოო დავალებანი, უზრუნველვყოთ მიმდინარე წლისა და მომავალი წლებისათვის ახალი ხუთწლედით გათვალისწინებულ დიად სახალხო-სამეურნეო ამოცანათა ბოლშევიკურად გადაჭრა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად

სტახანოველთა საქალაქო სოციალისტური შეჯიბრება პროფესიების მიხედვით

26 იანვარს თბილისის საწარმოთა ზეინკლებს შორის დაწინაურდა კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის სტახანოველი ა. ბენდიაშვილი, რომელმაც 26 იანვარს დღიური დავალება 750 პროცენტით შეასრულა, ხოლო 27 იანვარს—1.070 პროცენტით. კარგ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწია ამავე ქარხნის სტახანოველმა ი. ფირცხალავამ. მან დღიური ნორმა 760 პროცენტით შეასრულა. თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის ზეინკალთა ბრიგადამ, რომელსაც ს. სარქისოვი ხელმძღვანელობს, დღიური დავალება 987 პროცენტით შეასრულა.

ხარატებს შორის ყველას გაუსწრო ავტოსარემონტო ქარხნის სტახანოველმა ს. შუგარინმა, რომელმაც დღიური დავალება 625 პროცენტით შეასრულა. მაღალი საწარმოო მაჩვენებლები მოგვცეს აგრეთვე კიროვის სახელობის ქარხნის ხარატებმა ი. უკოლოვმა (გეგმა შესრულა 500 პროცენტით), ვ. ემელიანოვმა (გეგმა შესრულა 400 პროცენტით), და ავტოსარემონტო ქარხნის ხარატებმა გობეჯიშვილმა (გეგმა შესრულა 475 პროცენტით) და თ. მორჩილაძემ (468 პროცენტით).

მექვაბეებს შორის შეჯიბრებაში კვლავ წინ მიდის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მექვაბეთა ბრიგადა, რომელსაც მ. გეწაძე ხელმძღვანელობს (გეგმა შესრულა 375 პროცენტით).

* * *

28 იანვარს თბილისის საწარმოთა მჭედლებს შორის ყველაზე უკეთეს მაჩვენებლებს მიაღწია 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის სტახანოველმა ვ. კორძაძემ. მან დავალება 1.142 პროცენტით შეასრულა. ამ დღეს კარგად იმუშავა აგრეთვე სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მჭედელმა გამხუაშვილმა (დავალება შესრულა 590 პროცენტით).

ხარატებს შორის ყველას გაუსწრო 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის სტახანოველმა ა. ბალდასაროვმა და კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის სტახანოველმა ს. ზამულამ. ამ დღეს გეგმა ორივე ხარატმა 600 პროცენტით შეასრულა.

ზეინკლებს შორის სარეკორდო მაჩვენებელს მიაღწია კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის სტახანოველმა ა. ბენდიაშვილმა, რომელმაც ამ დღის გეგმა 1.070 პროცენტით შეასრულა. კარგი მაჩვენებლები აქვთ აგრეთვე თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში ე. ჩერნოვას ბრიგადას (გეგმა 375 პროცენტით შესრულა) და სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში ვ. იაშვილის ბრიგადას (გეგმა 337 პროცენტით შესრულა).

მეყალიბეებს შორის ამ დღესაც ყველაზე უკეთ იმუშავა ი. მირზოევმა (26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა), რომელმაც გეგმა 900 პროცენტით შეასრულა.

თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქში

მოლოტოვის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირი

მოლოტოვის რაიონის მშრომელთა ასობით წარმომადგენელი მოვიდა მარჯანიშვილის სახელობის თეატრში წინასაარჩევნო თათბირზე. აქ არიან რაიონის ფაბრიკა-ქარხნების სტახანოველები, დაწესებულებათა მუშაკები, დიასახლისები, ახალგაზრდა ამომრჩევლები, სამხედრო პირები. ისინი მოვიდნენ, რათა ამომრჩეველთა სახელით განაცხადონ თავიანთი სიხარული და მზადყოფნა ხმა მისცენ კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ჩერქეზია, გოჩაშვილი, ლუარსაბოვი, აკადემიკოსი მუსხელიშვილი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ვასაძე და სხვები.

თათბირს ხსნის ნდობით აღჭურვილი პირი ამხ. ვ. გოგოლაძე.

საპატიო პრეზიდიუმში თათბირმა ერთსულოვნად, მქუხარე ოვაციით აირჩია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო დიდი სტალინის მეთაურობით.

ტრიბუნაზე ადის სსრ კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ვასაძე.

—უდიდეს სიხარულს განიცდიან საქართველოს მშრომელები. ჩვენმა საყვარელმა მეგობარმა და აღმზრდელმა, ამხანაგ სტალინის უახლოესმა თანამებრძოლმა ლავრენტი პავლეს-ძე ბერიამ თანხმობა განაცხადა კენჭი იყაროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქში (მქუხარე ტაში).

ჩვენ, თბილისის მოლოტოვის რაიონის ამომრჩევლებს, წილად გვხვდა დიდი ბედნიერება—ჩვენი ხმა მივცეთ საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს, ჩვენი სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის ერთერთ ხელმძღვანელს, ამხანაგ ბერიას.

ამხანაგ ბერიას თანხმობამ კენჭი იყაროს თბილისის სტალინის სახელობის საარჩევნო ოლქში გამოიწვია ახალი საწარმოო აღმავლობა. მშრომელები ისწრაფვიან არჩევნების დღე აღნიშნონ ახალი საწარმოო გამარჯვებებით. სამკერვალო და კარტოგრაფიული ფაბრიკების, ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის საამქროების და სხვა საწარმოთა მუშები არჩევნების პატივსაცემად სტახანოვურ ვახტზე დადგნენ და გადაჭარბებით ასრულებენ გეგმებს, სულ უფრო და უფრო მეტ პროდუქციას აძლევენ სამშობლოს.

მთელი ქართველი ხალხი უდიდესი სიყვარულისა და მადლობის გრძნობით წარმოსთქვამს ჩვენი კანდიდატის ამხანაგ ბერიას სახელს. ჩვენ ყველამ ვიცით, თუ რა უდიდესი მუშაობა გასწია მან საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის, ქართველი ხალხის კულტურის აღმავლობისათვის, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის ახალი კადრების აღზრდისათვის. ქართველი ხალხის ცხოვრებასა და ბრძოლაში არ არის არც ერთი ისეთი უბანი, რომელსაც ყურადღებას არ უთმობდეს ამხანაგი ბერია.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში მონაწილეობას იღებდა ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა თაობა, აღზრდილი ამხანაგ ბერიას მიერ. მათ მტერთან ბრძოლაში გამოიჩინეს დიდი მამაცობა და გამბედაობა, უსაზღვრო ერთგულება სამშობლოსადმი, ბოლშევიკური პარტიისადმი, მშობლიური სტალინისადმი.

ამხანაგ ბერიას შესანიშნავი წიგნი „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ ჩვენი კადრების აღზრდის მძლავრი იარაღი გახდა.

ამხანაგ ბერიას ხელმძღვანელობით გარდაიქმნა საბჭოთა საქართველოს დედაქალაქი თბილისი. იგი გახდა ჩვენი ქვეყნის ულამაზესი ქალაქი. ახალი მონუმენტური შენობები, შესანიშნავი სანაპირო, პარკი ფუნიკულორის პლატოზე, ტროლეიბუსი—ყოველივე ამას ამხანაგ ბერიას მზრუნველი ხელი ატყვია.

ამხანაგმა ბერიამ მამობრივი მზრუნველობით აღზარდა ქართველი საბჭოთა ინტელიგენციის კადრები. მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწეები, ისევე როგორც რესპუბლიკის ყველა მშრომელები, ყოველდღიურად გრძნობენ ამხანაგ ბერიას უდიდეს მზრუნველობასა და ყურადღებას.

როცა დადგა კავკასიისათვის ბრძოლის მრისხანე დღეები, ამხანაგმა ბერიამ ბრწყინვალედ შეასრულა კავკასიის მისადგომებზე გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურების სტალინური გეგმა. მან გადაარჩინა ჩვენი სიცოცხლე, დაიცვა ჩვენი დამოუკიდებლობა, შესაძლებლობა მოგვცა თავისუფლად ვიშრომოთ სამშობლოს საკეთილდღეოდ. (ტაში).

აი ამიტომაც არის, რომ მე, ისევე როგორც ჩვენი რაიონის ყველა ამომრჩეველი, სიხარულით ვაძლევ ჩემს ხმას ქართველი ხალხის საუკეთესო შვილს ამხანაგ ბერიას.

ჩვენი ოლქიდან ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულია მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გ. ა. გოჩაშვილი.

ამხ. გოჩაშვილი სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. მან გაამართლა ამომრჩეველთა ნდობა. იგი საბჭოთა ხალხის ერთგული შვილია. ჩვენი რაიონის მშრომელები ერთსულოვნად მისცემენ ხმას ამხ. გოჩაშვილის კანდიდატურას.

სიტყვა ეძლევა დამსახურებულ მასწავლებელს ამხ. ეკატერინე ბერიძეს. იგი ლაპარაკობს იმ უდიდეს ღვაწლზე, რაც ამხანაგ ბერიას მიუძღვის ჩვენი რესპუბლიკის აყვავების საქმეში, მისი კულტურის, ხელოვნებისა და მეცნიერების აღმავლობის საქმეში.

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს,—ამბობს ამხ. ბერიძე, — საქართველო ეგებება, როგორც ერთ-ერთი მოწინავე საბჭოთა რესპუბლიკა. ამხანაგმა ბერიამ ქართველი ხალხი აღზარდა სამშობლოსადმი, ლენინ-სტალინის პარტიისადმი, დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით. მისი აღზრდილია ის ადამიანები, რომლებიც ასე გმირულად იბრძოდნენ სამამულო ომში, მისი აღზრდილია ის ადამიანები, რომლებიც ახლა შრომითი გმირობის ნიმუშებს გვიჩვენებენ. ამიტომ სიხარულით მივცემთ ჩვენს ხმას ლენინ-სტალინის პარტიის სახელოვან შვილს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას.

ჩვენ აგრეთვე მივცემთ ხმას ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულ შვილს ამხ. გიორგი ალექსანდრეს-ძე გოჩაშვილს.

მგზნებარე სიტყვით გამოვიდა დიასახლისი, საბჭოთა კავშირის გმირის ირაკლი ცეცხლაძის(?) დედა ალექსანდრა ცეცხლაძე(?).

— 1946 წლის 10 თებერვალს,— სთქვა მან,—მე, უპარტიო დიასახლისი, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ხმას მივცემ ხალხის მიერ წამოყენებულ კანდიდატებს. ეს უფლება მე მომანიჭა საბჭოთა სამშობლომ, სტალინურმა კონსტიტუციამ. როცა ჩვენს ქვეყანას თავს დაესხა ვერაგი მტერი, რომელსაც უნდოდა წაერთმია ჩვენთვის ეს უფლებები, მე ჩემი ერთად-ერთი შვილი გავისტუმრე ბრძოლის ველზე და დავავალე ებრძოლა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე.

ახლოვდება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავი. ამხანაგ ბერიას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ამ დღისათვის ჩვენი საყვარელი საქართველო მეფის რუსეთის ჩამორჩენილი კოლონიიდან გადაიქცა ერთ-ერთ მოწინავე აყვავებულ საბჭოთა რესპუბლიკად. ბედნიერი ვარ ხმა მივცე ქართველი ხალხის მოამაგეს, ჩვენს ძვირფას ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას.

თათბირზე სიტყვებით გამოვიდნენ პირველი სამკერვალო ფაბრიკის სტახანოველი ნადეჟდა ბარსეგოვა, ზემდეგი ი. შიშოვი, სამამულო ომის მონაწილე, სამედიცინო მეცნიერებათა კანდიდატი ორდენოსანი ამხ. ა. ჩაჩავა(?).

ტრიბუნაზე ადის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ამხ. გ. ა. გოჩაშვილი.

ამხ. გოჩაშვილი მადლობას უხდის ამომრჩევლებს დიდი ნდობისათვის და დამსწრეთ სიტყვას აძლევს მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება, რაც მან შეიძინა დიად ბოლშევიკურ პარტიაში ყოფნის 17 წლის მანძილზე, მოახმაროს ლენინ-სტალინის პარტიის საქმეს, ხალხის კეთილდღეობას.

დასასრულ სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის მდივანმა ამხ. ლუარსაბოვმა.

— ამხანაგო ამომრჩევლებო,—მოუწოდებს ამხ. ლუარსაბოვი,—აღვნიშნოთ არჩევნების დღე ახალი საწარმოო და შრომითი მიღწევებით და ამით უფრო განვამტკიცოთ ჩვენი თავისუფალი და ბედნიერი, გამარჯვებული ქვეყნის ეკონომიური და სამხედრო ძლიერება.

გაუმარჯოს კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს! (ხანგრძლივი ტაში).

თათბირმა ერთსულოვნად მიიღო წერილი მოლოტოვის რაიონის ამომრჩევლებისადმი.

აღფრთოვანებით იქნა მიღებული აგრეთვე ტექსტები მისასალმებელი დეპეშებისა დიდი სტალინისა და ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას სახელზე.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სათბობის საწარმოთა მშენებლობის სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ

1. შეიქმნას სათბობის საწარმოთა მშენებლობის საერთო საკავშირო სახალხო კომისარიატი სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის, ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატის, მშენებლობის სახალხო კომისარიატის, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული გაზ-სათბობის მრეწველობის მთავარი სამმართველოს სამშენებლო ორგანიზაციათა ბაზაზე.

2. გადაეცეს სათბობის საწარმოთა მშენებლობის სახალხო კომისარიატს სამშენებლო საწარმოები და ორგანიზაციები სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ დამტკიცებული სიის თანახმად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1946 წლის 28 იანვარი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სათბობის საწარმოთა მშენებლობის სახალხო კომისრად ამხ. ა. ნ. ზადემიდკოს დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე ზადემიდკო სათბობის საწარმოთა მშენებლობის სახალხო კომისრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1946 წლის 28 იანვარი.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოში

ობოლი ბავშვებისა და მოზარდების მოწყობა

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნომ წინადადება მისცა პროფკავშირულ ორგანიზაციებს გააუმჯობესონ მუშაობა ომის დროს უდედმამოდ დარჩენილი ბავშვებისა და მოზარდების მოსაწყობად.

სკოლამდელი დაწესებულებების მუშაკთა, დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირების ცენტრალურმა, რესპუბლიკურმა და საოლქო კომიტეტებმა უნდა გამოჰყონ თავიანთი წარმომადგენლები მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან არსებულ ობოლთა მოწყობის კომისიებში. პროფკავშირთა წარმომადგენლებს დაევალათ მიიზიდონ ფართო საზოგადოებრიობა საბავშვო სახლებში ბავშვთა მოწყობისათვის, მათი პატრონობისა და მეურვეობისათვის. საჭიროა მიღწეულ იქნას ბავშვთა აღზრდის, შრომითი სწავლებისა და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნომ დაავალა პროფორგანიზაციებს ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სამრეწველო საწარმოებთან საბავშვო სახლების შექმნასა და გაფართოებას, ყველა ბავშვის მოწყობას საბავშვო სახლებში, ხოლო მოზარდებისას—წარმოებაში. (საქდესი).

ფილმი სტალინგრადის ეპოპეის შესახებ

24 იანვარს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტში აჩვენეს ლენინგრადის კინოსტუდია „ლენფილმის“ ნაწარმოები ახალი მხატვრული ფილმი „დიადი გარდატეხა“.

ეს არის სურათი ომების ისტორიაში უდიდესი ბრძოლის შესახებ სტალინგრადის კედლებთან. დამდგმელმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ფ. ერმლერმა, ოპერატორმა ა. კალცატიმ, მხატვარმა ნ. სუვოროვმა და სტუდიის მთელმა შემოქმედებითმა კოლექტივმა დიდი მუშაობა გასწიეს, რათა შეექმნათ დიდი იდეურ-მხატვრული მნიშვნელობით აღსავსე ფილმი.

კინომაყურებლის წინაშე წარმოსდგება დაუვიწყარი სურათები ოთხი თვის განმავლობაში ვოლგის სიმაგრის გმირული დაცვისა და წითელი არმიის დიდი შეტევისა, რომელმაც გამოიწვია გერმანიის ჯარების სრული განადგურება სტალინგრადთან და ძირითადი შემობრუნება ომის მსვლელობაში.

ეკრანზე აღბეჭდილია საბჭოთა მეომრების სახეთა დიდი გალერეა. დაწყებული ფრონტის სარდალ გენერალ-პოლკოვნიკ მურავიოვით (მის როლს დიდი ადამიანური გულთბილობით და დაკვირვებით ასრულებს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი დერჟავინი) და გათავებული წითელარმიელ სტეფანეთი (მსახიობი ვოლკოვი), რომლებმაც ოსტატურად განახორციელეს მტრის განადგურების სტალინური გეგმა.

მშვენივრად თამაშობენ ფილმში სტალინური პრემიის ლაურეატები ზრაჟევსკი და აბრიკოსოვი, დამსახურებული არტისტი ტოლუბეევი, მსახიობები ანდრიევსკი, მარევი, ბერნესი, ინიუტინა და სხვები.

უახლოეს დღეებში ფილმი გამოვა ჩვენი ქვეყნის ყველა ეკრანზე. (საქდესი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პირველი სესია

უშიშროების საბჭოს სხდომა

ლონდონი, 28 იანვარი. (საქდესი). 28 იანვარს შედგა უშიშროების საბჭოს სხდომა. საბჭოს თავმჯდომარემ მეიკინმა იკითხა — საბჭოს დღის წესრიგში შეტანილ უნდა იქნას თუ არა იუგოსლავიის დელეგაციის მიერ აღძრული საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად ალბანეთის მიღების შესახებო. — „გენერალურმა მდივანმა, — სთქვა მეიკინმა, — შეცდომით დასვა ეს საკითხი მეხუთე ადგილას, მაგრამ ამის წინააღმდეგ გამოთქმულ იქნა აზრი“.

პირველი გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატი სტეტინიუსი, რომელმაც განაცხადა არ შეიტანონ აღნიშნული საკითხი დღის წესრიგში, რაც იმით დაასაბუთა, რომ მოსამზადებელი კომისია და მოსამზადებელი კომისიის აღმასრულებელი კომიტეტი თავიანთ გადაწყვეტილებებში რჩევას იძლევიან ორგანიზაციის წევრად მიღების შესახებ ყველა განაცხადი გარჩეულ იქნას გენერალური ასამბლეის სესიის მეორე ნაწილის დროს. მის წინააღმდეგ წავიდა პოლონეთის დელეგატი მოძელევსკი, რომელმაც სთქვა, ასეთი გადაწყვეტილება ცუდი გადაწყვეტილება და მაგალითი იქნებაო. ბრაზილიის დელეგატმა ფრეიტას ვალემ წინადადება შეიტანა, რომ ამ საკითხის გადატანა შეეხოს არა მარტო ალბანეთს, არამედ სხვა ქვეყნებისაგან შეტანილ ყველა შესაძლო განცხადებასაც. სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ წინადადება შეიტანა არ გადაიდოს ალბანეთის მიღების საკითხი. „მე ვერა ვხედავ, — სთქვა მან, — ვერავითარ საფუძველს, რომ დაბრკოლდეს სხვა ქვეყნების მიღების საკითხი. მე უფრო მოხერხებულად მიმაჩნია, რომ მიღების საკითხი განხილულ იქნას, რამდენადაც ასეთი განცხადებები შემოტანილ იქნება. გარდა ამისა, წინა სხდომაზე გადაწყდა, რომ ეს საკითხი შეტანილ იქნას დღის წესრიგში. წინადადება შემომაქვს საკითხი განხილულ იქნას არსებითად“.

შემდეგ გაიმართა დისკუსია, რომლის დამთავრებისას ყველა დათანხმდა, რომ ალბანეთის მიღების საკითხი დარჩენილიყო დღის წესრიგში.

შემდეგ თავმჯდომარემ დასვა საკითხი, სურს თუ არა საბჭოს, რომ ირანის დელეგაციის მეთაური ტაგი-ზადე მოწვეულ იქნას ირანის დელეგაციის წარდგინების საკითხის განსახილველად, მაგრამ ისე, რომ მან მონაწილეობა არ მიიღოს კენჭისყრაში. ამ წინადადების წინააღმდეგ არავინ წასულა. სიტყვა მიეცა ირანის დელეგაციის მეთაურს თავისი წარდგინების შევსებად და დასასაბუთებლად. ტაგი-ზადემ წაიკითხა საკმაოდ ვრცელი, წინასწარ დაწერილი განცხადება, რომელშიც არსებითად გამეორებულია ირანის დელეგაციის უკვე ცნობილი მტკიცებები. ამის შემდეგ გამოვიდა ა. ი. ვიშინსკი, რომელმაც შეავსო და დაასაბუთა საბჭოთა მთავრობის განცხადება ამ საკითხზე. ორი საათის განმავლობაში ვიშინსკიმ სიტყვიერი ფორმით ჩამოაყალიბა საბჭოთა დელეგაციის აზრი.

როცა ა. ი. ვიშინსკის სიტყვა გადაითარგმნა, თავმჯდომარემ დასვა საკითხი სხდომის შეწყვეტის შესახებ. ა. ი. ვიშინსკიმ შეიტანა წინადადება, რათა კამათი ამ საკითხის თაობაზე არ გაჭიანურებულიყო. საკითხს კენჭი უყარეს და 7 ხმით 2 ხმის წინააღმდეგ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 30 იანვრის დილის 3 საათამდე სხდომის შეწყვეტის შესახებ.

გერმანელი ფაშისტი ავაზაკებისათვის გამოტანილი განაჩენი მოყვანილია სისრულეში

კიევი, 29 იანვარი. (საქდესი). დღეს 17 საათზე ქალაქ კიევში კრეშჩატიკზე სისრულეში მოყვანილ იქნა განაჩენი—ჩამოხრჩობა, რაც კიევის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა გამოუტანა გერმანელ ფაშისტ ავაზაკებს შეერს, ბურხარდტს, ჩაიერ უნდ ოსტენს, ტრუკენბროდს, ჰაინიშს, ვალიზერს, ჰელერფორტს, ბეკენპოფს, კნოლს, იზენმანს, მაიერს, იოგშატს მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქეებისა და სამხედრო ტყვეების მხეცური გაჟლეტისათვის, ქალაქებისა და სოფლების დანგრევისათვის, საბჭოთა უკრაინის მოსახლეობის მონობაში გარეკვისათვის.

კრეშჩატიკზე მყოფი მრავალი მშრომელი საყოველთაო მოწონებით შეხვდა განაჩენის სისრულეში მოყვანას.

საბჭოთა ხელოვნების აყვავება

საუბარი სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე მ. ბ. ხრაპჩენკოსთან

სტალინური პრემიების მინიჭება ხელოვნებისა და ლიტერატურის თვალსაჩინო ნაწარმოებებისათვის, რომლებიც შექმნილია 1943-1944 წლებში, ახალ ეტაპს მოასწავებს საბჭოთა კულტურის განვითარებაში. საბჭოთა თეატრის მუშაკებმა, მუსიკისა და კინოს მოღვაწეებმა, მხატვრებმა დიდი განძი შეიტანეს გამარჯვების საქმეში. დიდი სამამულო ომის წლებში განუწყვეტლივ გაისმოდა საბჭოთა ხელოვნების მამაცური, პატრიოტული ხმა. ამ წლების მანძილზე შექმნილია ნაწარმოებები, რომლებიც უდიდესი კულტურული განძია და რომლებმაც საყოველთაო სახალხო აღიარება დაიმსახურეს. სტალინური პრემიების მინიჭება ამ აღიარების გამოხატულებას წარმოადგენს.

მთავრობამ პრემია მიანიჭა კომპოზიტორ ი. შაპორინის ორატორიას „თქმულება რუსული მიწა-წყლისათვის ბრძოლაზე“. ეს დიდი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის მუსიკალურ ცხოვრებაში. დიდი შემოქმედებითი მღელვარებით მხატვრულ სახეებში ...

... კალოვას მიერ შეყვანილი ქალის ცენტრალური როლის ვირტუოზული შესრულება სპექტაკლს განსაკუთრებულ ბრწყინვალებასა და დიდ მომხიბლაობას აძლევს.

სტალინური პრემია მიენიჭა თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთ თვალსაჩინო მოღვაწეს ი. ა. ზავადსკის მის მიერ მოსკოვის საბჭოს სახელობის თეატრში „შემოსევის“ და „ოტელოს“ დადგმების განხორციელებისათვის. თეატრის დიდი ოსტატი ი. ზავადსკი ფაქიზად და გულში ჩამწვდომად გრძნობს დრამატურგიულ ნაწარმოებს, მას მკაფიო და დაფიქრებული ინტერპრეტაციით შეუძლია მისი საინტერესოდ მიტანა მაყურებლამდე.

ახალი შესანიშნავი წარმატებები მოიპოვა განვლილ ორ წელს საბჭოთა სახვითმა ხელოვნებამ. მთავრობამ აღნიშნა მხატვრების ა. გერასიმოვის, ვ. ეფანოვის, მ. ავილოვის და სხვა მხატვრებისა და მოქანდაკეების მთელი რიგი საინტერესო ნამუშევრები.

ვ. ეფანოვის სურათი „ავადმყოფ გორკის ლოგინთან“ მეტად მნიშვნე- ...

საბჭოთა კინოს სტალინური ლაურეატები

სტალინური პრემიების მიკუთვნება კინოხელოვნების იმ თვალსაჩინო ნაწარმოებებისათვის, რომლებიც შექმნილია 1943-44 წლებში,—უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა მთელი საბჭოთა კინემატოგრაფიისათვის.

ეს მაღალი ჯილდო მკაფიოდ მოწმობს საბჭოთა მთავრობის უდიდეს ყურადღებასა და მზრუნველობას ...

... ნიზაციის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს, რომლებიც შექმნილია ომის დღეებში.

კომედიურ-მუსიკალური ჟანრის დარგში საბჭოთა კინემატოგრაფიის დიდ შემოქმედებითს მიღწევებს ენდა მიეკუთვნოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ი. პირიევის ფილმი „საღამოს 6 საათზე ომის შემდეგ“ ...

... დამპყრობლების წინააღმდეგ.

ფილმი „შემოსევა“, რომელიც დადგმულია ერთ-ერთი უძველესი საბჭოთა კინორეჟისორის ა. როომის მიერ, წარმოადგენს მისი დამდგმელის დიდ შემოქმედებითს წარმატებას, იმ ლიტერატურულ ნაწარმოებთა ეკრა- ...

... ხეს მათ ჩვენმა პარტიამ, მთავრობამ და საბჭოთა ხალხის დიდმა ბელადმა—ამხანაგმა სტალინმა.

ი. გ. ბოლშაკოვი

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე

სტუდენტთა ზამთრის არდადეგები

28 იანვრიდან 8 თებერვლამდე ტარდება ზამთრის არდადეგები ჩვენი ქვეყნის ყველა უმაღლეს სასწავლებელსა და ტექნიკუმში.

— ახლანდელი არდადეგები იმით განსხვავდება წინანდელისაგან, — აცნობა საქტასის კორესპონდენტს საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სტუდენტი ახალგაზრდობის განყოფილების გამგემ ამხ. პისლიაკმა, — რომ სტუდენტები თავიანთი საზამთრო დასვენების დროს აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ სსრ ...

... რული ორგანიზაციების დასახმარებლად. მოსკოვის სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებში შესდგება ახალგაზრდა ამომრჩეველთა შეხვედრები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებთან.

სწავლის ფრიადოსნებს, სამამულო ომის ინვალიდებს, აგრეთვე იმათ, ვისაც მკურნალობა ესაჭიროება, საგზურებს გამოუყოფენ ყველა იმ პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტები, რომელთაც დასასვენებელი სახლები და სანატორიუმები აქვთ.

დედაქალაქის თეატრები არდადეგების დღეებში გამართავენ 90 მიზნობრივ სპექტაკლს 90 ათასი კაცისათვის. კომკავშირის მოსკოვის საქალაქო კომიტეტი აწყობს დედაქალაქის სტუდენტთა შეხვედრას მწერლებთან, პოეტებთან, კინოსა და თეატრის შემოქმედებითს მუშაკებთან. ჩატარდება მოსკოვის სტუდენტთა ჰოკეის გუნდების შეჯიბრება, ფრენბურთელთა გუნდების შეხვედრა მოსკოვის უმაღლეს სასწავ- ...

... ჯიბრებაში, მოისმენენ ლექციებს ციკლიდან „ჩერნიშევსკის დარიგებანი“.

9 თებერვალს ქალაქ გორკის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები და ტექნიკუმთა მოსწავლენი მოაწყობენ ღამით ქალაქში ჩირაღდნით სიარულს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად.

ქალაქ ივანოვოს სტუდენტები მოაწყობენ ექსკურსიებს საფეიქრო ფაბრიკებში. (საქტასი).

ლენინგრადთან სახელოვანი გამარჯვების მეორე წლისთავი

ლენინგრადი, 27 იანვარი. (საქტასი). დღეს ლენინგრადელები ზეიმით აღნიშნავენ დიდი გამარჯვების—მტრის ბლოკადისაგან ლენინის ქალაქის სრული განთავისუფლების — მეორე წლისთავს.

შესდგა სახელოვანი თარიღისადმი მიძღვნი- ...

... საზეიმო სალამო გამართეს ვოლოდარსკელებმა. კრების მონაწილენი ფეხზე წამოდგნენ და ხუთი წუთის დუმილით სცეს პატივი იმათ ნათელ ხსოვნას, ვინც გმირულად დაიღუპა ლენინის ქალაქის დაცვისას.

ვიბორგის და კრასნოგვარდეისკის რაიონ- ...

სასამართლო პროცესი ბელორუსიის სს რესპუბლიკაში გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების ბოროტმოქმედებათა საქმის გამო

24 იანვრის საღამოს სხდომა

მინსკი, 25 იანვარი. (საქტასი). საღამოს სხდომაზე იწყება ბრალდებულ მოლის საქმის გამო მოწმეთა დაკითხვა. ქალაქ ბობრუისკის მცხოვრებმა, მოწმე მ. დ. ვინოგრადოვამ აჩვენა:

1943 წელს გერმანელმა ჟანდარმებმა სრუ- ...

მოწმემ აბრამჩიკმა, რომელიც თავის დროზე მობილიზებული იყო გზების გასასანგრევად, სასამართლოს უამბო იმ საშინელი ფაქტების შესახებ, რასაც იგი განიცდიდა გერმანელთა ჟანდარმერიაში. მოწმემ ე. ი. ლეპეშკინამ მოიყვანა ახალი ფაქტები სრულიად უდანაშაულო ...

... 13 სოფლის მცხოვრებთა გასახლების დროს.

შემდეგ პროკურორის თხოვნით სასამართლომ ბელორუსიის სს რესპუბლიკაში გერმანელი ფაშისტი დამნაშავეების მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებათა საქმეს დაურთო მთელი რიგი განცხადებანი, რომლებიც პროცესის დროს შეიტანეს ბელორუსიის მოქალაქეებმა.

ამის შემდეგ უჩვენეს დოკუმენტალური ფილმი ბელორუსიის სს რესპუბლიკის ტერი- ...

... ძრა, რომ სასამართლო სხდომაზე მოწმედ გამოწვეულ იქნას გერმანიის არმიის ყოფილი ლეიტენანტი ჰაისი, იმის გამო, რომ მიღებული დებულების თანახმად ჰაისი სამხედრო ტყვეთა რიცხვში არ ითვლება, სამხედრო ტრიბუნალმა დაადგინა უარი ეთქვას ერმანსდორფს შუამდგომლობაზე.

ამით მთავრდება სასამართლოს საღამოს სხდომა.

მორიგ სხდომაზე დაიწყება მხარეთა კამათი.

25 იანვრის დილის სხდომა

25 იანვრის საღამოს სხდომა

26 იანვრის საღამოს სხდომა

27 იანვრის საღამოს სხდომა

მინსკი, 28 იანვარი. (საქტასი). 27 იანვრის საღამოს სხდომაზე დაიწყო მხარეთა კამათი.

თავმჯდომარე სიტყვას აძლევს სახელმწიფო ბრალმდებელს — სამხედრო პროკურორს, იუსტიციის გენერალ-მაიორ ლ. ი. იაჩენინს.

გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების ბოროტმოქმედებათა გამომკვლევი საგანგებო სახელმწიფო კომისიის მასალებით გამორკვეულია, რომ გერმანელმა მტარვალებმა ბელორუსიაში ...

... ნი მიაყენეს ბელორუსიის სახალხო მეურნეობას. მათ გადასწვეს და დაანგრიეს 209 დიდი და პატარა ქალაქი, მათ შორის რესპუბლიკის დედაქალაქი მინსკი, ქალაქები გომელი, პოლოცკი, ვიტებსკი, ორშა, ბორისოვი და სხვები, პირისაგან მიწისა აღგავეს 9.200 დაბა-სოფელი.

საგანგებო სახელმწიფო კომისიის ცნობებით, გერმანელმა დამპყრობლებმა ბელორუსიის ტერიტორიაზე დაანგრიეს და გაძარცვეს 10 ათასზე მეტი სამრეწველო საწარმო, 10 ათასი კოლმეურნეობა, 92 საბჭოთა მეურნეობა, 316 მტს-ი, ჩამოართვეს და გერმანიაში გარეკეს 800 ათასი ცხენი, 2.800 ათასი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 5 მილიონზე მეტი წვრილფეხა პირუტყვი, მოსპეს 1.136 საავადმყოფო, პოლიკლინიკა, ამბულატორია, 1.085 თეატრი, კლუბი, სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი, მუზეუმი და სხვა.

ახასიათებს რა ბრალდებულთა სკამზე მჯდომი თვითეული ბრალდებულის დანაშაულობებს, სახელმწიფო ბრალმდებელი აცხადებს, რომ ამ საზიზღარი ბოროტმოქმედებების ჩამდენთა პასუხისმგებლობა უდავოა როგორც მორალური, ისე იურიდიული თვალსაზრისით.

— მოქალაქე მოსამართლენო! თქვენს მკაცრ ... მკაცრ სასჯელს ბოროტმოქმედთა მიმართ მოელის მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხი, როგორც მართლმსაჯულებისა და სამართლიანობის აქტს.

ბრალდებულთა მიერ ჩადენილი საზარელი დანაშაულობანი გათვალისწინებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 19 აპრილის ბრძანებულების 1-ლი მუხლით „საბჭოთა სამოქალაქო მოსახლეობისა და ტყვე წითელარმიელთა მკვლელობასა და წამებაში დამნაშავე გერმანელ ფაშისტ ბოროტმოქმედთა სასჯელის ზომის შესახებ“. ამ ბრძანებულების საფუძველზე მე, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი, ვთხოვ სამხედრო ტრიბუნალს ყველა ბრალდებულს მიუსაჯოს ჩამოხრჩობა.

ამით მთავრდება სამხედრო ტრიბუნალის საღამოს სხდომა.

სმოლენსკის პროცესი ეკრანზე

კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატები

პორფილე გიორგის-ძე ჩანჩიბაძე

საბჭოთა კავშირის გმირი გენერალ-პოლკოვნიკი პ. გ. ჩანჩიბაძე დაიბადა 1901 წელს ქ. მახარაძეში, ღარიბი გლეხის ოჯახში. 1921 წელს მოხალისედ შევიდა წითელ არმიაში და მას შემდეგ განუწყვეტლივ იმყოფება არმიის რიგებში. 1930 წლიდან ამხ. ჩანჩიბაძე საკავშირო კ. პ. (ბ) წევრია.

საბრძოლო ნათლობა პ. გ. ჩანჩიბაძემ ხასანის ტბასთან ბრძოლებში მიიღო. იაპონელ სამურაებთან ბრძოლებში ვაჟკაცობის გამოჩენისათვის იგი დაჯილდოებულ იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით. პ. გ. ჩანჩიბაძის სამხედრო ნიჭი განსაკუთრებით გამომჟღავნდა დიდი სამამულო ომის წლებში. გენერალ ჩანჩიბაძის ნაწილები ანადგურებდნენ გერმანელებს რჟევთან და სტალინგრადთან, მიუსზე და პერეკოპთან, ურტყამდნენ გერმანელებს ყირიმში და ბალტიისპირეთში, აღმოსავლეთ პრუსიაში.

პოლკოვნიკიდან გენერალ-პოლკოვნიკამდე — საბრძოლო ზრდის ასეთი გზა განვლო პ. გ. ჩანჩიბაძემ ომის განმავლობაში. მისი ჯარები ერთ-ერთი პირველნი შეიჭრნენ გერმანიის მიწა-წყალზე. ხუთმეტჯერ იყო მოხსენიებული ჩანჩიბაძის გვარი ამხანაგ სტალინის ბრძანებებში.

სამშობლოს წინაშე საბრძოლო დამსახურებათათვის უნარიან და მამაც მხედართმთავარს გენერალ-პოლკოვნიკ ჩანჩიბაძეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება ლენინის ორდენისა და მედალ „ოქროს ვარსკვლავის“ გადაცემით. სამამულო ომის განმავლობაში გენერალი ჩანჩიბაძე დაჯილდოებულია სუვოროვის პირველი და მეორე ხარისხის ორდენებით, კუტუზოვის მეორე ხარისხის ორდენით, ბოგდან ხმელნიცკის მეორე ხარისხის ორდენით, წითელი დროშის სამი ორდენით და ოთხი მედლით. გარდა ამისა, მიღებული აქვს მედალი „წითელი არმიის XX წელი“.

ნიკოლოზ მაქსიმეს-ძე რუხაძე

გენერალ-ლეიტენანტი რუხაძე დაიბადა 1905 წელს რუსთავში, რკინიგზელი მუშის ოჯახში. სწავლობდა სოფლის სკოლაში. დაამთავრა ტექნიკუმი. 1922 წელს ამხ. რუხაძე კომკავშირში შევიდა. 1927 წელს მიღებულ იქნა ბოლშევიკური პარტიის რიგებში.

ამხ. რუხაძე მუშაობდა საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომის ინსტრუქტორად, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივნად, კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორად, საქართველოს ალკკ თელავის სამაზრო კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგედ.

შემდეგ ამხ. რუხაძე არის საქართველოს საბჭოთა-პარტიული კონტროლის ჯგუფის ხელმძღვანელი, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტიული კონტროლის კომისიის პარტკოლეგიის წევრი საქართველოს სს რესპუბლიკაში.

1926 წელს ამხ. რუხაძე პარტიამ სამუშაოდ გაგზავნა სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოებში, სადაც იგი ენერგიულად მუშაობს ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისა და უშიშროებისათვის.

ამხ. რუხაძეს მიენიჭა სახელმწიფო უშიშროების უფროსი მაიორის წოდება, ხოლო შემდეგ გენერალ-მაიორისა და გენერალ-ლეიტენანტის წოდებანი.

1941 წლის 29 დეკემბერს ამხ. რუხაძე საზღვაო დესანტთან ერთად ქერჩში გადავიდა, მონაწილეობას იღებდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან ფეოდოსიის, მაიკოპის, აფშერონსკაიას, არმავირისა და სხვა ქალაქების განთავისუფლებაში.

ამხ. რუხაძემ დიდი მუშაობა გასწია გერმანელთა დაზვერვის, მტრის აგენტურის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამჟამად ნიკოლოზ მაქსიმეს-ძე რუხაძე თბილისის სამხედრო ოლქის კონტრდაზვერვის სამმართველოს უფროსია.

უმწიკვლო სამსახურისათვის, გმირობისა და მამაცობისათვის გენერალ-ლეიტენანტი ნ. მ. რუხაძე დაჯილდოებულია წითელი დროშის სამი ორდენით, სამამულო ომის პირველი ხარისხის ორი ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორი ორდენით, მედლებით „მამაცობისათვის“, „კავკასიის დაცვისათვის“, „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გერმანიაზე გამარჯვებისათვის“ და „შინსახკომის საპატიო მუშაკის“ ნიშნით.

ანა ტარიელაშვილი

სტალინირიდან აღმოსავლეთით გაჰყვებით მთის ძირას მიმავალ გზას, ექვსიოდე კილომეტრს გაივლით, პატარა ლიახვის ხეობას მიუახლოვდებით და თვალწინ გადაგეშლებათ ლამაზი სოფელი ერედვი.

ფართო თემშარების გასწვრივ განცალკევებულად ჩამწკრივებული კოხტა სახლები, ვრცელ ფართობზე გაშენებული ახალი ვენახი და გულმოდგინედ დამუშავებული საყანე ველები მაშინვე გაგრძნობინებთ საკოლმეურნეო ცხოვრების დიად ძალას.

ერედვი ამ მხიან დღეში მთელ ქართლს გადაჰყურებს. შორს, ქუფრი გორების მახლობლად, გორისკვარის მზის სხივებით ელვარებული ნისლი შემოხვევია და უზარმაზარი ტაძრის გუმბათივით მოჩანს.

ერედვის შუაგულში ძველისძველ ეკლესიას სქელი გალავანი აქვს შემოვლებული. ეკლესიის შესავალ კართან დიდ სვეტზე ჯერ კიდევ ემჩნევა მისი მშენებლის წარწერა: „მე თეოდორე თაფლაისძემან დავდე საძირკველი, წელი იყვნეს ხფი“.

აი, მეათე საუკუნის პირველი ათეული წლის ამ ისტორიული ძეგლის მახლობლად, გზის პირად დგას პატარა თეთრი სახლი, ორთვალა, აივნიანი, ყავრით დახურული. ამ სახლში ცხოვრობს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ანა ალექსანდრეს-ასული ტარიელაშვილი.

13 წლისა იყო ანა, ობლად რომ დარჩა, მას შემდეგ განუწყვეტლად კოლმეურნეობაში მუშაობს. ახლა 30 წლის ქალია, შრომაში გამობრძმედილი. მისი ქმარი—სიკო ტარიელაშვილი ომის დაწყებისთანავე ბრძოლის ველზე წავიდა, დაიჭრა, მალე ისევ ფრონტს დაუბრუნდა.

ახალგაზრდა დედას სამი შვილი დარჩა ასაზრდელი: უმცროსი ერთი წლისა, საშუალო სამი წლისა, ხოლო უფროსი—5 წლისა.

ანამ გაორკეცებული ენერგიით მიჰყო ხელი შრომას. ოჯახს ომში წასული ვაჟკაცის მაგიერობა გაუწია. პატარა ნაზოს საბავშვო ბაგაში სტოვებდა, თვითონ კი კოლმეურნეობაში მუშაობდა, სიმინდისა და ჭარხლის მოსავლიანობის ზრდაში ტოლი არა ჰყავდა.

ანა ტარიელაშვილი ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია იმ თავდადებული ქალებისა, რომლებმაც თავიანთი გმირული შრომით უზრუნველჰყვეს ჩვენი მამაცი წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვება.

სუფთად მილაგებულ, ნათელ ოთახში ვსხედვართ. გარედან მკვრივად ჩასუქნილმა, საპედაღლაჟა ბიჭმა შემოირბინა. სკოლაში მიეჩქარება. დედამ წიგნები მისცა, ტანსაცმელი გაუსწორა.

აქვე დგას უმცროსი გოგონა. ვარდივით გაშლილი სახე აქვს. ბავშვებს დედის მზრუნველი ხელი არ მოჰკლებიათ.

დიდ საოჯახო და საკოლმეურნეო შრომასთან ერთად ანა საზოგადოებრივი მუშაობისთვისაც პოულობს დროს. ჩვენს არმიას ეხმარებოდა, წინდებს ჰქსოვდა, ამანათებს ჰგზავნიდა.

— ბავშვებს რომ დავაძინებდი, შემდეგ კარგახანს ვმუშაობდი, ვქსოვდი, ვკერავდი. კოლმეურნეობის ბევრ სხვა საქმესაც ვაკეთებდი,—სთქვა ანამ.

სამხრეთ ოსეთის მშრომელებს ანა ტარიელაშვილის სახით ეროვნებათა საბჭოში ეყოლებათ ღირსეული წარმომადგენელი.

ს. თავაძე

სოფიო მარიდაშვილი

ქვემო გომს მტკვარი კლაკნილად უვლის. კასპიდან რომ გახედავთ, სოფელი მაღლობზე მოჩანს თავისი ძველი კოშკით.

სოფლის დიდი აღორძინება კოლმეურნეობის ჩამოყალიბების დღიდან დაიწყო.

63 ჰექტარი ხეხილის ბაღი, 30 ჰექტარი ვენახი, 4 ჰექტარი სანერგე, 6 ჰექტარი ბოსტანი—ეს ხულ კოლექტიური შრომის ნაყოფია. ამას გარდა კოლმეურნეობა თესავს ხორბლეულს 160 ჰექტარზე, სიმინდს — 70 ჰექტარზე და ჭარხალს—20 ჰექტარზე.

ამ დიდ სამეურნეო სამამულო ომის დროს მრავალი მუშახელი მოაკლდა, მაგრამ არც ბაღს, არც ვენახს, არც სანერგეს მოვლა-დამუშავება არ დაჰკლებია, ხოლო პურის, სიმინდისა და ჭარხლის მოსავალი კიდევ უფრო გაზარდეს.

ამ კოლმეურნეობის წინსვლაში დიდი ღვაწლი მიუძღვის მის ორდენოსან თავმჯდომარეს — გიორგი მანჯგალაძეს. ომი რომ დაიწყო, გიორგი წითელ არმიაში გაიწვიეს. იბრძოდა ქერჩში, ყუბანში, თერგის ნაპირებზე. მეორეჯერ რომ დაიჭრა, ფეხი დაუშავდა. შემდეგ კვლავ კოლმეურნეობას ხელმძღვანელობს. მართალია, სიარული ყავარჯნებით უხდება, მაგრამ შრომასა და ბრძოლაში გამობრძმედილ ვაჟკაცს ეს ხელს არ უშლის, რომ თავისი საყვარელი საქმე ისეთივე მონდომებით აკეთოს, როგორც ხუთმეტი წლის წინათ, როცა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ პირველად აირჩიეს.

ამ კოლმეურნეობის ყველაზე მოწინავე მერგოლეური არის ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი სოფიო ანდრიას-ასული მარიდაშვილი.

პირველი ნახვისთანავე მიიპყრობს თქვენს ყურადღებას ეს ენერგიული კოლმეურნე ქალი. მის მოგრძო სახეს, შავ თმაში გავლებულ ჭაღარა ზოლს, ნამუშევარ ხელებს—ყველაფერს შრომის მადლი ამშვენებს.

— შვიდი წლისა ვიყავი, დედა რომ გარდამეცვალა, — იგონებს სოფიო. — მამა რკინიგზაზე მუშაობდა. ძალიან ღარიბად ვცხოვრობდით. 14 წლისა გამათხოვეს. ქმარი თავს მოჯამაგირეობით ირჩენდა. გვქონდა პატარა ქოხი. არავითარი ავეჯი არ გაგვაჩნდა. შემდეგ ქმარმა ზაჰესში დაიწყო მუშაობა. ჩემ შრომას მხოლოდ კოლმეურნეობაში მიეცა გასაქანი.

ამჟამად სოფიო 37 წლისაა, სამი შვილი ჰყავს. ქმარი კვლავ რკინიგზაზე მუშაობს ბრიგადირად.

ჯარში გაწვეულ ძმას შინ ჩვილბავშვიანი ცოლი ავადმყოფობით გარდაეცვალა. სოფიომ ორი თვის ბავშვი თავისთან წამოიყვანა და აღზარდა. ახლა ეს ბიჭი—ომარი 4 წლისაა და სოფიოს დედას ეძახის.

სოფიოს შრომის უნარი და საერთო საქმისათვის თავდადება განსაკუთრებით ომის წლებში გამოჩნდა. მისი რგოლი კოლმეურნეობაში მუდამ მოწინავე იყო. თავიანთ ნაკვეთზე მოსავლიანობას ყოველწლიურად ზრდიდნენ. გასულ წელს მის ჯგუფზე მიმაგრებული იყო 9 ჰექტარი ნათესი და თვითეულ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 11 ცენტნერის ნაცვლად 47 ცენტნერი მოსავალი მოიყვანეს. პირადად სოფიოს მოსავლელად გადაცემული ჰქონდა სამი ჰექტარი სიმინდი და ერთი ჰექტარი ჭარხალი. გეგმით გათვალისწინებული 160 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე მან 487 ცენტნერი ჭარხალი მოიყვანა.

სოფიო აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ მუშაობაში, დიდ ენერგიას იჩენდა ფრონტელთათვის დახმარების აღმოჩენაში.

გასულ წელს სოფიო მარიდაშვილი საკავშირო კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად მიიღეს.

— ეს სახლი, ეზო და ბაღი, უველაფერი კოლმეურნეობამ შემძინა, — ამბობს სოფიო.

მზრუნველი დედა, ოჯახის მომვლელი, სამშობლოს ერთგული, ნაყოფიერი შრომის დიდებით მოსილი საბჭოთა ქალი,—აი ვის ირჩევენ კასპის რაიონის მშრომელნი ეროვნებათა საბჭოს დეპუტატად.

ი. ოზოლაძე

ამომრჩეველთა შეხვედრები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებთან

(„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტებისაგან)

თბილისი

თბილისის ტყავის პირველი ქარხნის კლუბში შეიკრიბნენ ამავე ქარხნისა და აგრეთვე ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურენი. ისინი შეხვდნენ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის თავიანთ კანდიდატს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მეორე მდივანს ამხ. ზაქარია ნიკოლოზის-ძე ჩხუბიანიშვილს.

ნდობით აღჭურვილი პირი, ტყავის პირველი ქარხნის მთავარი ინჟინერი ამხ. მანდენოვი დამსწრეთ აცნობს ამხ. ჩხუბიანიშვილის ბიოგრაფიას, მის დამსახურებას მშრომელთა წინაშე.

— ჩვენი საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩეველს მოვუწოდებ თავიანთი ხმა მისცენ ჩვენი სამშობლოსა და ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულ შვილს ამხ. ზაქარია ნიკოლოზის-ძე ჩხუბიანიშვილს, — ამთავრებს თავის სიტყვას ორატორი.

პატრიოტული სიტყვა წარმოსთქვა დიასახლისმა ჩხეიძემ.

— საბჭოთა ქალი ჩვენში უფლებრივად სავსებით გათანასწორებულია მამაკაცებთან და აქტიური მონაწილეა ქვეყნის საზოგადოებრივი, პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრებისა,—ამბობს იგი.—ჩვენ, დიასახლისები ამას ვუმადლით საბჭოთა კონსტიტუციის გენიალურ შემოქმედს—დიდ სტალინს, რომლის მამობრივი მზრუნველობით აღიზარდნენ ხალხისათვის თავდადებული ადამიანები. ამხ. ჩხუბიანიშვილი დეპუტატობის ღირსეული კანდიდატია. ჩვენ ერთსულოვნად ავირჩევთ მას.

კრებაზე გამოსულმა ახალგაზრდა ამომრჩეველმა, ინდუსტრიული ინსტიტუტის სტუდენტმა ა. გურგენიძემ, სტახანოველმა მუშებმა ჩხენკელმა, ტატუაშვილმა, მერაბოვმა და ტყავის ქარხნის დირექტორმა ამხ. ხაზარაძემ თავიანთ სიტყვებში გამოხატეს რაიონის ამომრჩეველთა ნება-სურვილი—მისცენ თავიანთი ხმები დეპუტატობის ღირსეულ კანდიდატს—ამხ. ჩხუბიანიშვილს.

დასასრულ ამხ. ჩხუბიანიშვილმა გულითადი მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს მისდამი გამოცხადებული ნდობისათვის და ხაზი გაუსვა იმ დიდ მოვალეობას, რასაც მას ეს ნდობა აკისრებს.

ჩოხატაური

ჩოხატაურის რაიონის სოფლებში მიმდინარეობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების შეხვედრა თავიანთ ამომრჩევლებთან.

სოფელ ბუკისციხის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობას ესტუმრნენ კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ისმაილ ჰასანის-ძე ფუტკარაძე და ამავე სოფლის მკვიდრი, ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, საქართველოს კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანი ვასილ ვლადიმერის-ძე სიხარულიძე.

საზეიმოდ მორთულ საკოლმეურნეო კლუბში ასობით ამომრჩეველი მოვიდა. შეხვედრისადმი მიძღვნილი კრება გახსნა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ დემობილიზებულმა ამხ. ს. სიხარულიძემ. ამომრჩევლებს დეპუტატობის კანდიდატების ამხ. ფუტკარაძისა და ამხ. სიხარულიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას აცნობს ნდობით აღჭურვილი პირი ამხ. ე. ცინცაძე. სიტყვებით გამოვიდნენ ამომრჩევლები ბენედიქტე შარაშენიძე და ვალიკო ჯიქია.

შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს დეპუტატობის კანდიდატებმა ამხანაგებმა ი. ფუტკარაძემ და ვ. სიხარულიძემ.

აფხაზეთი

სოხუმის სახელმწიფო თეატრის შენობაში სოხუმისა და სოხუმის რაიონის ამომრჩეველთა წარმომადგენლები შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარს ამხ. ავქსენტი ნარიკის-ძე რაფავას.

პრეზიდიუმის მაგიდასთან არიან საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი გენერალ-ლეიტენანტი ამხ. ა. რაფავა, ამხ. ა. მგელაძე, მ. დელბა, გ. ქარჩავა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი ს. ჯანაშია, საბჭოთა კავშირის გმირი ი. იოსელიანი, აგრეთვე სტახანოველები, მეცნიერებისა და ხელოვნების წარმომადგენლები.

წინასაარჩევნო კრება გახსნა ნდობით აღჭურვილმა პირმა, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის სოხუმის ფილიალის დირექტორმა ამხ. ი. ლომიამ.

დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დიდი სტალინის მეთაურობით, აგრეთვე ამხანაგ კ. ნ ჩარკვიანს.

პირველად სიტყვით გამოდის ამხ. გ. ქარჩავა.

— მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად,—ამბობს იგი, — საქართველოსა და აფხაზეთის მშრომელები არჩევნების დღეს—10 თებერვალს ახალი საწარმოო გამარჯვებებით ხვდებიან. ხალხმა თავის პირველ კანდიდატად დაასახელა ჩვენი გამარჯვებების ორგანიზატორი, დიდი ლენინის საქმის გენიალური განმგრძობი ამხანაგი სტალინი. დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული არიან სამშობლოს ერთგული შვილები, მათ შორის ამხ. ავქსენტი ნარიკის-ძე რაფავა. ამხ. რაფავას კარგად იცნობენ აფხაზეთის მშრომელნი, როგორც ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულ შვილს, ხალხის მსახურს.

ორატორი მოუწოდებს ამომრჩევლებს 10 თებერვალს ერთსულოვნად მისცენ ხმა ამხ. რაფავას კანდიდატურას.

ტრიბუნაზე ადის სოხუმის სარკინიგზო დეპოს მოწინავე მემანქანე ამხ. ვაშაკიძე.

— სოხუმის სართქლმავლო დეპოს მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა,—ამბობს ამხ. ვაშაკიძე,—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთხმად წამოაყენეს ამხ. რაფავა. სამამულო ომის დღეებში იგი დაუღალავად და თავდადებით მუშაობდა სახელმწიფო უშიშროების დაცვის ფრონტზე. მოგიწოდებთ ხმა მივცეთ მას.

— ქალაქ სოხუმის სტალინის საარჩევნო უბნის ამომრჩევლები, — ამბობს ნდობით აღჭურვილი პირი ამხ მ. სტარცევი,—ერთსულოვნად მისცემენ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

სიტყვებს ამბობენ ზღვისპირის საარჩევნო უბნის ნდობით აღჭურვილი პირი ამხ. პ. რატიანი, სოფელ გუმისთის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამხ. რ. ჯობავა, კომკავშირის სოხუმის ქალაქკომის მდივანი ა. კილურაძე, კაპიტანი კ. ბოგდანოვი და სხვები.

დასასრულ სიტყვით გამოვიდა ამხ. ა. რაფავა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

— ნება მომეცით,—განაცხადა მან, —მადლობა გამოვთქვა იმ ნდობისათვის, რომელიც მე გამომიცხადეთ. ამჟამად ჩვენი ქვეყანა არჩევნებისათვის ემზადება. ეს არჩევნები კიდევ და კიდევ ცხადჰყოფს საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, მის სიყვარულსა და ერთგულებას დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი. პირობას გაძლევთ მომავალშიც ძალღონის დაუზოგავად ვემსახურო ხალხს, სამშობლოს.

გურჯაანი

ახაშნის საზეიმოდ მორთული კლუბის დარბაზი ხალხით აივსო. აქ არიან სოფელ ურიათუბნის, ახაშნისა და მუკუზნის საბჭოთა მეურნეობის მშრომელნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან შეხვედრისადმი მიძღვნილი შეკრება შესავალი სიტყვით გახსნა მუკუზნის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ამხ. დ. დვალმა.

სიტყვით პირველი გამოდის ნდობით აღჭურვილი პირი დამსახურებული მასწავლებელი, ლენინის ორდენოსანი ვ. რობიტაშვილი.

— ჩვენი რაიონის მშრომელნი, — ამბობს იგი,—მთელს საბჭოთა ხალხთან ერთად გაცხოველებით ემზადებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის.

წინასაარჩევნო კრებებზე გურჯაანის რაიონის მშრომელებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთხმად წამოაყენეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, გენერალ-ლეიტენანტი გრიგოლ თეოფილეს-ძე კარანაძე. ეროვნებათა საბჭოს არჩევნების გურჯაანის № 125 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ იგი რეგისტრაციაში გაატარა.

დამსწრენი ამხ. კარანაძეს კარგად იცნობენ, რადგან იგი 1930-34 წლებში ჩვენს რაიონში მუშაობდა.

შემდეგ ორატორი დამსწრეთ მოუთხრობს ამხ. კარანაძის ბიოგრაფიას, მის დამსახურებას სამშობლოს წინაშე.

— გურჯაანის რაიონის მშრომელები,—ამბობს დასასრულ იგი, — ერთსულოვნად მისცემენ ხმას ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულ შვილს, ჩვენთვის ახლობელ ადამიანს ამხ. კარანაძეს.

სიტყვით გამოდის გ. გულოევი. იგი ამბობს:

— ამხ. კარანაძე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თავიანთ წინასაარჩევნო კრებაზე ერთსულოვნად დაასახელეს ველისციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა. მათ მხარი დაუჭირეს რაიონის მშრომელთა სხვა კოლექტივებმა. ჩვენ ამხ. კარანაძეს ვიცნობთ, როგორც ხალხის კეთილდღეობისათვის თავდადებულ მებრძოლს. სამშობლოს წინაშე მისი დამსახურება არაერთხელ აღინიშნა უმაღლესი ჯილდოებით—ორდენებითა და მედლებით. მოვუწოდებ ჩვენი ოლქის ყველა ამომრჩეველს ხმა მისცეს ამხ. გ. თ. კარანაძეს.

სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე მასწავლებელმა თ. ლობჟანიძემ, ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მევენახეობის ბრიგადირმა ნ. კობიაშვილმა, სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ვ. ყაჭიურმა და საქართველოს კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომის მდივანმა ამხ. ი. ფეიქრიშვილმა.

თავმჯდომარე სიტყვას აძლევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს ამხ. გრიგოლ თეოფილეს-ძე კარანაძეს. მან მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს ნდობისათვის.

— ეს ნდობა და დაფასება,—სთქვა ამხ. კარანაძემ,—ახალ ძალას მმატებს. პირობას გაძლევთ დაუღალავად ვიშრომო ხალხის საქმისათვის, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის.

ამხ. გ. თ. კარანაძე თავის ამომრჩევლებს შეხვდა აგრეთვე გურჯაანის რაიონის სოფელ შრომაში, შაშიანში, მუკუზანში, ველისციხესა და სხვა სოფლებში.

სასამართლო პროცესი უკრაინის სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გერმანელი ფაშისტ დამპყრობლების ბოროტმოქმედებათა საქმის გამო

24 იანვრის საღამოს სხდომა

კიევი, 25 იანვარი. (საკდესი). საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა მოწმეთა დაკითხვა.

ანტონცევმა, ლროებითი ოკუპაციის წლებში უბურუტეს 75 ათასამდე მშვიდობიანი მცხოვრები. სამხედრო ტყვეთა ბანაკში წამებით დაბოცეს 30 ათასზე მეტი კაცი.

ბავშვები, მათ გერმანულ კატორღაში გარეკეს ორ მილიონზე მეტი კაცი, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ტყვეობაში დაიღუპა შიმშილით, წამებითა და აუტანელი შრომით.

25 იანვრის საღამოს სხდომა

25 იანვრის დილის სხდომა

26 იანვრის დილის სხდომა

26 იანვრის საღამოს სხდომა

27 იანვრის დილის სხდომა

27 იანვრის საღამოს სხდომა

28 იანვრის დილის სხდომა

განაჩენი

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

24 იანვრის საღამოს სხდომა

ნიურნბერგი, 24 იანვარი. (საკდესი). საღამოს სხდომაზე ბრალდების ფრანგი წარმომადგენელი დიუბოსი კვლავ მოახსენებდა ტრიბუნალს ჰიტლერელების მიერ საფრანგეთში და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში შეპყრობილი მრავალი მძევლის სიკვდილით დასჯის შესახებ.

25 იანვრის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 25 იანვარი. (საკდესი).

შეთანხმება საფრანგეთის სამ პარტიას შორის

პარიზი, 26 იანვარი. (საკდესი). 24 იანვარს საღამოს ხელმოწერილ იქნა შეთანხმება სამ პარტიას — სოციალისტურ, კომუნისტურ და „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის" პარტიას შორის — მათი საერთო პროგრამის შესახებ. შეთანხმება მხოლოდმხოლოდ საერთო ხასიათისაა და ეხება ღონისძიებებს მხოლოდ იმ საკითხებზე, რომლებსაც ამ პარტიათა პროგრამები შეიცავენ. ამას მოითხოვდა „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის" პარტია, ხოლო რამდენადაც სოციალისტურ პარტიას სავალდებულოდ მიაჩნია მთავრობაში „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის" პარტიის მონაწილეობა, სოციალისტური პარტიის წარმომადგენლები დაეთანხმნენ ამ პრინციპს.

კომპარტიის მოთხოვნით უარყოფილ იქნა „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის" პარტიის მრავალი მოთხოვნა, რომლებიც, კერძოდ, შეეხებოდნენ ახალი კონსტიტუციის პროექტს. პარტიების წარმომადგენლები ცდილობენ ყოველი საშუალებით დაუჭირონ მხარი და განაცხადონ მთავრობაში, კრებაში, პრესასა და რესპუბლიკაში ლოიალური სოლიდარობის სულისკვეთება ერთობლივად მიღებულ გადაწყვეტილებათა დასაცავად.

შემდეგ შეთანხმებაში ნათქვამია, რომ სამი პარტიის წარმომადგენლებმა განსაზღვრეს ამ პროგრამის ძირითადი პუნქტები, აგრეთვე მათი შესრულების სიჩქარის რიგი და ავალებენ მთავრობაში მყოფ თავიანთ წარმომადგენლებს უზრუნველყონ, რომ ეს ღონისძიებანი შეტანილ იქნან მთავრობის დეკლარაციაში. პირველ რიგში პარლამენტისა და მთავრობის წინაშე უნდა დაისვას მომარაგების, ძირითადი ადმინისტრაციული რეფორმის, ნაციონალიზაციის საკითხები, ნაციონალიზაციისა, „რომელიც არ გამოიწვევს მრეწველობის მთავარი დარგების არც გასახელმწიფოებრიობას, არც მითვისებას".

შეთანხმება ითვალისწინებს აგრეთვე პროფკავშირული თავისუფლების პატივისცემას და ყველა აღიარებულ პროფკავშირულ ორგანიზაციათა პროპორციულ მონაწილეობას სამინისტროთა ეკონომიურ და სოციალურ საქმიანობაში.

„რეზოლუციები, რომლებიც უკვე მიიღო კრებამ, — აღნიშნულია შეთანხმებაში, — უნდა განხორციელდეს და, კერძოდ, უნდა განხორციელდეს გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება ფრანკოს მთავრობასთან ურთიერთობას".

მდგომარეობა ინდონეზიაში

ჰააგა, 27 იანვარი. (საკდესი). საააგენტო ანპი ბატავიიდან იუწყება, რომ ამჟამად მიმდინარეობს ქალებისა და ბავშვების მასობრივი ევაკუაცია ბანდუნგიდან (ცენტრალური იავა). ვრცელდება ხმები, რომ ინგლისის ჯარები აპირებენ იერიში მიიტანონ ბანდუნგზე.

ჰააგა, 28 იანვარი. (საკდესი). სააგენტო ანპი ბატავიიდან გადმოგვცემს, რომ 26 იანვარს თავაზე ბრძოლები გრძელდებოდა ბანდუნგთან. ინდონეზიელები გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ. ძლიერ უშენდნენ ტყვიამფრქვევებს ინგლისელთა პოზიციებს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ინგლისელებმა არტილერია გამოიყენეს, ინდონეზიელებმა უკან დაიხიეს. ბატავიის სამხრეთით ინგლისელებმა ტყვედ ჩაიგდეს 20 ინდონეზიელი ოფიცრის მეთაურობით.

არჩევნებისადმი მიძღვნილი კინოფესტივალი

საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით კინოთეატრ „კომკავშირელში" ამომრჩეველთათვის ატარებს კინოფესტივალს შემდეგი პროგრამით: 30 და 31 იანვარს—სტალინის სიტყვა 1937 წლის 11 დეკემბერს მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე და „მოთხრობა ჩვენი ბავშვების შესახებ"; 1 და 2 თებერვალს—„მთავრობის წევრი"; 3 და 4 თებერვალს — „ზოია"; 5 და 6 თებერვალს—„რაიკომის მდივანი"; 7 და 8 თებერვალს —„დაუმორჩილებელნი"; 9 და 10 თებერვალს—„კომკავშირელები".

„უდანაშაულო დამნაშავენი"

სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის ოსურმა დასმა მაყურებელს უჩვენა ოსტროვსკის პიესა — „უდანაშაულო დამნაშავენი".

პიესა დასდგა რეჟისორმა გ. კაბისოვმა, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ც. გაზდანოვს.

მთავარ როლებს ასრულებენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნ. ჩაბიევი და მსახიობი ჩოჩიევი (კრუჩინინა), გ. გუბიევი (შმაგა), კ. კოჩიევი (ნეზნამოვი), დ. ფარასტაევი (დუდუკინი), ლ. ჯიჰოევი (ტაისა).

კესხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

31 იანვარს, საღამოს 8 საათზე შესდგება ამხ. ტატიშვილის ლექცია ქართულ ენაზე. თემა: **„სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა"**. ბილეთების შეძენა შეიძლება საქალაქო პარტკაბინეტის ბიბლიოთეკაში დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

ლ ე ქ ც ი ა

31 იანვარს, საღამოს 6 საათზე, პლეხანოვის სახელობის კლუბში (საბჭოს ქ. № 194) შესდგება ამხ. ზავრიევის ლექცია თემაზე: „თანამედროვე თურქეთი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი